

## სკოპინგის დასკვნა N6

**საქმიანობის დასახელება:** 110 კვ საჰაერო ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის („ბახვი 1-2“-ის) გაყვანა;

**საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“;

**საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტი;

**განაცხადის შემოსვლის თარიღი:** 01.03.2023;

**სკოპინგის ანგარიშის შემდგენელი:** შპს „გერგილი“

### ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ მიერ, წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, 110 კვ საჰაერო ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის („ბახვი 1-2“-ის) გაყვანის სკოპინგის ანგარიში.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს „ბახვი 1 ჰესის“ მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ჩართვას სახელმწიფო ელექტროსისტემის ქსელში, 110 კვ საჰაერო ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის („ბახვი 1-2“-ის) საშუალებით. საპროექტო ეგბ გამოყენებული იქნება საპროექტო „ბახვი 2ა“ და „ბახვი 2ბ“ ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის გატარებისთვის, რაც ჯამურად შეადგენს 46,3 მეგავატს. საპროექტო ეგბ-ის ელექტროსისტემის ქსელთან მიერთების წერტილს წარმოადგენს 110 კვ ეგბ „ოზურგეთი-ზოტი“.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია ეგბ-ის ტიპის და დერეფნის ალტერნატივები, ასევე არაქმედების ალტერნატივა. გარემოსდაცვითი, ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, შემოთავაზებული 3 ალტერნატიული ვარიანტიდან, უპირატესობა მიენიჭა ელექტროგადამცემი ხაზის განთავსების დერეფნის III ვარიანტს (3,4 კმ სიგრძის ეგბ-ის გაყვანა), ხოლო ეგბ-ის ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან უპირატესობა მიენიჭა მიწისქვეშა ეგბ-ის ნაცვლად, საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობას.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო საყრდენი ანძების ტექნიკური პარამეტრები, სქემატური ნახაზები და განთავსების ადგილის GPS კოორდინატები.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ეგბ-ის სიგრძეა 3,4 კმ. წარმოდგენილი ინფორმაციით, საპროექტო ეგბ-ის საწყისი და საბოლოო წერტილების GPS კოორდინატებია: X -272413.3945, Y - 4639165.4795; X -272528.395, Y -4639013.548. საპროექტო ეგბ-ს დერეფანი იწყება „ბახვი 1 ჰესი“-ს 110 კვ ძაბვის საპროექტო ქვესადგურიდან. №1 საპროექტო საყრდენი მდებარეობს მდინარე ბახვისწყლის მარცხენა ფერდობის ქვედა ნაწილში (X - 272413.3945; Y - 4639165.4795), შემდეგ ეგბ-ის დერეფანი მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით (№1 - №5 საპროექტო საყრდენები) და შემდგომ

აღმოსავლეთის მიმართულებით (№6 და №7 საპროექტო საყრდენები) ქედის თხემურ ნაწილისკენ. საპროექტო ეგზ-ის დერეფნის დარჩენილი მონაკვეთი გაივლის ქედის თხემზე. საპროექტო ეგზ-ის ბუფერიდან (განაპირა სადენებიდან ორივე მხარეს 20 მეტრი) უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე (ბაისურა) მინიმალური მანძილი შეადგენს 50 მეტრს. ეგზ-ის დერეფნიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტებს წარმოადგენს მდ. ბახვისწყალი, რომელიც ეგზ-ის დერეფნიდან დაშორებულია 20 მეტრით და ბაისურას დელე, რომელიც მდებარეობს 85 მეტრის დაშორებით.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო უბანზე გათვალისწინებულია 15 ერთეული 110 კვ და 220 კვ (გარკვეულ წერტილებზე) ორჯაჭვიანი ლითონის კუთხურ-ანკერული საყრდენების მოწყობა (8ც- YC110-6; 2ც - Y110-2+9; 1ც - Y110-2+14; 1ც - Y220- 2+5; 3ც - Y220-2+9;). ელექტროენერჯის გატარება მოხდება AC-240/56 მარკის ფოლად-ალუმინის სადენის გამოყენებით, მაქსიმალური გასატარებელი დენის კოეფიციენტით - 272 ამპერი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო 110 კვ ეგზ-ის დაცვის ზონად გათვალისწინებულია 20 მეტრის მანძილი განაპირა სადენებიდან, ეგზ-ის ორივე მხარეს. დაგეგმილი საქმიანობისთვის გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილი არ არის. მშენებლობისთვის საჭირო მასალების დასაწყობება და სამშენებლო ტექნიკის განლაგება მოხდება საპროექტო ეგზ-ს მიმდებარედ გამოყოფილ ადგილზე (GPS კოორდინატები: X – 273585.95; Y – 4638019.65). სამშენებლო სამუშაოების ვადად განსაზღვრულია 7 თვე. სამშენებლო სამუშაოები ითვალისწინებს საპროექტო საყრდენი ანძების განთავსების ადგილებში ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და გრუნტის მოხსნას/დასაწყობებას, საყრდენი ანძების მონტაჟისთვის ფუნდამენტების მოწყობას, საყრდენების მასალების ტრანსპორტირებას, რკინაბეტონის კონსტრუქციის მოწყობას, ანძების დამონტაჟებას და სადენების გაჭიმვას. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში წყალი გამოყენებული იქნება მშენებლობის ეტაპზე, სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. სასმელი წყლით მომარაგება დაგეგმილია ბუტილირებული წყლის ადგილზე მიტანით ან გადამზიდავი წყლის ცისტერნების გამოყენებით. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების შესაგროვებლად დაგეგმილია ბიოტუალეტების მოწყობა, რომლის გაწმენდა მოხდება პერიოდულად, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ უბნებზე დაგეგმილია სარეკულტივაციო სამუშაოების განხორციელება.

მშენებლობის ეტაპზე გამოყენებული იქნება საპროექტო ბახვი 1 ჰესის პროექტის ფარგლებში გაყვანილი გზები და ბაისურას სეზონური დასახლებაში არსებული გზა. პროექტის ფარგლებში, ასევე დაგეგმილია თითოეულ ანძასთან მისასვლელი გზების მოწყობა. **გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს შეფასებული მისასვლელი გზების გაყვანის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.**

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მონაცემებით, წარმოდგენილი მთლიანი 177528 კვ.მ ფართობიდან (shp ფალები) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს № 299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის საზღვრების მიხედვით, 139530 კვ.მ მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში. კერძოდ, ოზურგეთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეოში, კვარტალი NN20; 21. ამასთან, სახელმწიფო ტყეში მდებარე 139530კვ.მ ზედდებამია სახელმწიფო ტყის რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებთან ს/კ N26.33.22.002; ს/კ 26.33.22.292 და ს/კ 26.33.22.289-ზე. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სპეციალური ტყით სარგებლობის უფლების მოპოვება, რისთვისაც საპროექტო დერეფანში ჩატარდება ხე-მცენარეული საფარის კვლევა.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოები არ ითვალისწინებს ადგილობრივი რელიეფის და გეოლოგიური სტრუქტურის მნიშვნელოვან ცვლილებას, ამასთან წინასწარი კვლევებით, საპროექტო ეგზ-ის დერეფანში სახიფათო საინჟინრო-გეოდინამიკური პროცესები არ გამოვლენილა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობისა და უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე მანძილის (50 მ) გათვალისწინებით, პროექტის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით, ელექტრომაგნიტური გამოსხივების და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

პროექტის ფარგლებში მოსალოდნელია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და გამოყენება განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სისქე, მოცულობა და დასაწყობების ტერიტორიები დაზუსტდება გზმ-ის ეტაპზე. მშენებლობის დროს ამოსაღები გრუნტის მოცულობა იქნება 5080 მ<sup>3</sup>. ამოღებული გრუნტი დასაწყობდება სამუშაო მოედნის პერიმეტრზე და გამოყენებული იქნება უკუყრილის (4851 მ<sup>3</sup>) სახით საძირკვლების სიცარიელების ამოსავსებად და ანძებამდე მისასვლელი გზების მოსასწორებლად (230 მ<sup>3</sup>).

სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში მოსალოდნელია, როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა სათანადო ნებართვის მქონე კომპანიებს, ხოლო არასახიფათო ნარჩენები გატანილი იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე და ნარჩენების გადამამუშავებელ კომპანიებში. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გზმ-ის ეტაპზე დეტალურად იქნება განხილული ნარჩენების წარმოქმნით გამოწვეული ზემოქმედება, ნარჩენების რაოდენობების, სახეობების და მართვის ღონისძიებების მითითებით).

დაგეგმილი საქმიანობა დაკავშირებულია ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებასთან. ფლორისტურ გარემოზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ხე-მცენარეების გარემოდან ამოღებასთან. ზემოქმედება ცხოველთა სამყაროზე დაკავშირებული იქნება ხმაურის და

ვიზრაციის გავრცელებასთან, ასევე საბინადრო გარემოზე ზემოქმედებასთან. სკოპინგის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად ორნითოფაუნაზე და ხელფრთიანებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია ეგხ-ის ექსპლუატაციის ეტაპზე. ვინაიდან, 110 კვ-იანი ეგხ-ს მიერთება დაგეგმილია ოზურგეთი-ზოტის 110 კვ-იან ეგხ-ზე, რომელიც უკვე დაპროექტებულია და სამშენებლო სამუშაოების დაწყება დაგეგმილია 2023 წლის გაზაფხულზე, ხოლო 110 კვ საჰაერო ორჯაჭვიანი ეგხ „ბახვი1-2“-ის მშენებლობა დაგეგმილია 2024 წლის მაისიდან დეკემბრის ჩათვლით. მშენებლობის პერიოდიდან გამომდინარე, მშენებლობის პროცესში კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე „ბახვი 1-2“ 110 კვ ეგხ-სა და „ოზურგეთი-ზოტი“ 110 კვ ეგხ-ს შორის ელექტრული ველების გამოსხივებასთან დაკავშირებით კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ იმ წერტილში, სადაც მოხდება აღნიშნული ეგხ-ების დაერთება. გზშ-ის ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედების შეფასების ნაწილში დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი ეგხ-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე კუმულაციური ზემოქმედება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებთან მიმართებით, განსაკუთრებით ყურადღება უნდა გამახვილდეს ორნითოფაუნის და ხელფრთიანთა სახეობებზე ზემოქმედებაზე. კუმულაციური ზემოქმედების შეფასების ნაწილში, გათვალისწინებული უნდა იქნეს „ბახვი 1“ და „ბახვი 2“ ჰესების სამშენებლო სამუშაოები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტომ უზრუნველყო დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია გამოქვეყნდა სააგენტოს ვებგვერდზე, ასევე, საჯარო განხილვის შესახებ განცხადებები განთავსდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე და საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ასევე გამოქვეყნდა გაზეთში და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, გარდა ამისა, ინფორმაცია განთავსდა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 27 მარტს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მთისპირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის, საკონსულტაციო ორგანიზაციის შპს „გერგილის“ წარმომადგენლები და სოფ. მთისპირის მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დამსწრე პირთა მხრიდან ყურადღება ძირითადად დაეთმო დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად მოსალოდნელ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საკითხები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირებულ იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განსაზღვრული და დაგეგმილი იქნა საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

**გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. **გზშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1 **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.**
4. **გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:**
  - პროექტის საჭიროების დასაბუთება;
  - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ეგხ-ის ტიპის ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ეგხ-ის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალურ- ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
  - პროექტის აღწერა, მათ შორის ინფორმაცია საპროექტო ეგხ-ის სიგრძის, საპროექტო მონაკვეთში საყრდენი ანძების რაოდენობის შესახებ, ასევე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების დეტალური აღწერა;
  - საპროექტო ეგხ-ის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები, ფიზიკური მახასიათებლების ცხრილი. ამასთან, ინფორმაცია ეგხ-ის ძაბვის, განთავსების ტექნიკური გადაწყვეტების შესახებ. გარდა ამისა, წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია 110 კვ ეგხ „ოზურგეთი-ზოტთან“ საპროექტო ეგხ-ის დაერთების შესახებ;

- ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის დეტალური აღწერა, მათ შორის (არსებობის შემთხვევაში) მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ობიექტების და კერძო საკუთრებების გადაკვეთის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს კერძო მესაკუთრებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ეგხ-ის საპროექტო დერეფნის და დაცვის ზონის (ბუფერის) Shp ფაილები და ეგხ-ის საყრდენი ანძების განთავსების GPS კოორდინატები. ეგხ-ის სქემა/სიტუაციური რუკა (შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების მითითებით), შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონების და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულების (დაცვის) შესახებ. ინფორმაცია საპროექტო ბუფერის (სქემატურ რუკაზე დატანილი) შესახებ, მისი ფართობისა და ბუფერში მოქმედი შეზღუდვების შესახებ.
- ეგხ-ის დერეფნიდან და დაცვის ზონიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე/დასახლებამდე, ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ამდე, მდებარეობის მითითებით (რუკაზე დატანილი);
- ინფორმაცია ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაცია ეგხ-ის გაყვანისა და ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყლის გამოყენების საჭიროების შესახებ;
- ინფორმაცია სანიაღვრე და ჩამდინარე წყლების წარმოქმნისა და მართვის შესახებ;
- საპროექტო ტერიტორიაზე მისასვლელი გზების შესახებ ინფორმაცია. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია უშუალოდ საყრდენი ანძების განთავსების წერტილებამდე მისასვლელი გზების შესახებ. საპროექტო მისასვლელი გზების პარამეტრების, სამშენებლო სამუშაოების გეგმის და მოსალოდნელი ზემოქმედების მითითებით. პროექტის ფარგლებში მოსაწყობი გზები ასახული უნდა იქნეს სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებზე;
- პროექტის ფარგლებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი და მუშაობის ხანგრძლივობა. ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზმ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში საპროექტო ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შესახებ ინფორმაცია.

#### **4.1 პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:**

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია;

- ინფორმაცია სამშენებლო ან/და სასაწყობე უბნების შესახებ (ადგილმდებარეობების shp ფაილების მითითებით);
- მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობის შეფასებისა და ზემოქმედების პერიოდების განსაზღვრის მიზნით წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროექტის ხანგრძლივობის, სამუშაოების ჩატარების პერიოდისა და დროის შესახებ, სამუშაოების გეგმა-გრაფიკის მითითებით;
- საყრდენისათვის საჭირო მიწის ფართობის, საძირკვლების და მოხსნილი გრუნტის შესახებ ინფორმაცია;
- დეტალური ინფორმაცია მცენარეული და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების, გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით). მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის და გრუნტის დასაწყობების ადგილები (GPS კოორდინატები) და სავარაუდო მოცულობები;
- ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკის შესახებ;
- ობიექტების მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტების (არსებობის შემთხვევაში) მოწყობის შესახებ ინფორმაცია.
- ობიექტების მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტების (არსებობის შემთხვევაში) მოწყობის შესახებ ინფორმაცია

#### **4.2 სამშენებლო ბანაკ(ებ)ის განთავსების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის:**

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ის შესახებ, ბანაკ(ებ)ის ადგილმდებარეობის მითითებით (shp ფაილების და GPS კოორდინატები);
- მოცემული უნდა იყოს სამშენებლო ბანაკ(ებ)ისთვის შერჩეული ტერიტორიის აღწერა;
- სამშენებლო ბანაკის/ბანაკ(ებ)ის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის ფართობის, ასევე ეგზ-ის მშენებლობის მომსახურებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ბანაკ(ებ)ის ტერიტორიაზე განთავსების შესახებ;
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ის წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ზე საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ ინფორმაცია.

#### **4.3. გზშ-ის ანგარიშში, გეოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:**

- გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:
  - რელიეფი (გეომორფოლოგია);
  - გეოლოგიური აგებულება;

- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური პირობების პიკეტური აღწერა (უნდა მოიცავდეს საპროექტო ტერიტორიის სივრცეში არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების აღწერასაც).
- გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:
  - ზემოქმედება გრუნტის წყლებზე;
  - საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით.

#### **4.4. გზშ-ის ანგარიშში, ბიოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:**

- ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზის და მისი მშენებლობისათვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაგეგმილი მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტი მონაცემების შესახებ, სახეობების მიხედვით რაოდენობის და მოცულობის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად: **„ეგზ-ს მშენებლობისას 3.4 კმ სიგრძის და 50 მ სიგანის დერეფანში მოხდება ხე-მცენარეული საფარის ჭრა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხე-მცენარეების ჭრა 50 მ სიგანის დერეფანში სრულად არ განხორციელდება“.** აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაკონკრეტებას, ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების განლაგების ფართობთან დაკავშირებით;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია სრულად ექცევა ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილების ტერიტორიაზე (IBA), კერძოდ „AdjaraImereti Ridge GE015“, თუმცა shp ფაილების გადამოწმების შედეგად, საპროექტო ტერიტორია არ ექცევა ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილების ტერიტორიაზე. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- ვექტორული მონაცემების (shp-ფაილების) გადამოწმების შედეგად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გეგმარებითი გურიის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს აღნიშნულ საკითხზე, კერძოდ: სკოპინგის ანგარიში მოიცავს მოძველებულ ინფორმაციას, რომელიც ძირითადად ეყრდნობა ლიტერატურულ წყაროებს, საჭიროა გზშ-ის ანგარიშში აისახოს ინფორმაცია სრულფასოვან კვლევებზე დაყრდნობით მომზადებულ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, მათ შორის ორნითოფაუნაზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელ ნუსხით" დაცულ სახეობებზე) და ჰაბიტატებზე, ასევე მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ჰაბიტატების დეგრადაცია-ფრაგმენტაციით გამოწვეულ, ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედებაზე), ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, წარმოდგენილ იქნას ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად;



- ზემოაღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით განისაზღვროს მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები და მასშტაბი, შესაბამისად განახლდეს ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა. გეგმაში ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხთან ერთად უნდა აისახოს წარმოების პერიოდულობა, ადგილები, ხანგრძლივობა და სხვა საჭირო პარამეტრები. საჭიროდ მიგვაჩნია გეგმაში ექსპლუატაციის ეტაპზე ცალკე საკითხად აისახოს დაკვირვება ფრინველების სიკვდილიანობაზე (როგორცაა მაგალითად ელექტროსადენებთან და/ან ანძებთან შეჯახებით სიკვდილიანობა), ასევე ამ კუთხით დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვება, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით;
- ასევე საჭიროა გზშ-ის ანგარიშში უფრო ნათლად და დეტალურად იყოს აღწერილი ეგზ-ის განთავსების ალტერნატივები, მათი შედარებითი ანალიზი, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით. ამ კუთხით დეტალურად უნდა იქნას განხილული ეგზ-ის მიწისზედა განთავსების ალტერნატიული ვარიანტის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

**5. პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:**

- პროექტის ფარგლებში ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ამასთან, მითითებული უნდა იყოს შესაძლო ემისიები, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში და სხვა;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების კუთხით (ხმაურის გავრცელების სიხშირე და დონე), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, საჭიროების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, დეტალური ინფორმაცია ჩატარებული კვლევების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა და გრუნტის წყლებზე. დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელების მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ნარჩენების მართვის საკითხები. პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი

ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, შემდგომი მართვის ღონისძიებების მითითებით;

- შესაძლო ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე. ამასთან, განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ, არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- ეგზ-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე სატრანსპორტო ოპერაციების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, მათ შორის სატრანსპორტო ნაკადებზე;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, მიმდებარე არსებული და საპროექტო ობიექტების გათვალისწინებით. შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების შეფასება.

6. **საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში:**

- წარმოდგენილი მთლიანი 177528 კვ.მ ფართობიდან (ანძები, ეგზ-ს ბუფერი, გზები და სასაწყობე ტერიტორია) (Shp-ფაილი), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს № 299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის საზღვრების მიხედვით, 139530 კვ.მ მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში. კერძოდ, ოზურგეთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეოში, კვარტალი NN20; 21. ამასთან, სახელმწიფო ტყეში მდებარე 139530 კვ.მ ზედდებამია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებთან ს/კ N26.33.22.002; ს/კ 26.33.22.292 და ს/კ 26.33.22.289-ზე. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. განსაკუთრებული დანიშნულებით

ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქმიანობის განმახორციელებელმა (კანონმდებლობის შესაბამისად) გზშ-ის ანგარიშს უნდა დაურთოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები;

- ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე იგეგმება გურიაში პირველი ეროვნული პარკის დაარსება, საჭაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევების, მშენებლობის, ფუნქციონირებისა და შემარბილებელი ღონისძიების დროს გამოყენებულ უნდა იქნას ის სტანდარტები, რომელიც ითვალისწინებს ფლორისა და ფაუნის სახეობების უსაფრთხოებას დაცული ტერიტორიებისა და ბიომრავალფეროვნებით მნიშვნელოვანი არეალის ფარგლებში. აგრეთვე, საჭაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობამ და ექსპლუატაციამ ხელი არ უნდა შეუშალოს აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილ გურიის ეროვნული პარკის დაარსებას. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია აღნიშნული საკითხის გათვალისწინების შესახებ;
- **გზშ-ის ანგარიშში სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზისთვის 50 მეტრიანი დერეფნის გამოყენების აუცილებლობა.** აღსანიშნავია, რომ ბაქო-თბილისი ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის მილების მშენებლობისათვის გამოყოფილი იყო 44 მეტრიანი დერეფანი. (1 მეტრიანი დიამეტრის მილები გაყვანილ იქნა პარალელურად, ერთმანეთისაგან 12 მეტრის დაცილებით);
- სკოპინგის ანგარიში არ შეიცავს და გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენას საჭიროებს ჰიდროლოგიური ხასიათის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არსებული ზედაპირული წყლის ობიექტების (მდ. ბახვისწყალი და ბაისურას დელე) ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიშში;
- საპროექტო ანძების განთავსებისას საყურადღებო იქნება ზედაპირული წყლების ხარისხის გაუარესების რისკები (ანძები N1 და N15 განთავსდება მდინარის კალაპოტის სიახლოვეს) და მოსალოდნელია მდინარის დაბინძურება (მდინარის აქტიურ კალაპოტში ან კალაპოტის სიახლოვეს მუშაობის დროს). აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დაცული იქნეს ყველა ის შემარბილებელი ღონისძიება, რაც მოცემულია სკოპინგის ანგარიშში და დეტალურად უნდა იქნეს ასახული გზშ-ის ანგარიშში;
- სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორიაზე არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები და ის არ ექცევა რომელიმე ძეგლის დამცავ ზონაში. თუმცა, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი გამოავლენს ან აღმოაჩენს კულტურულ მემკვიდრეობას, ან ამის შესახებ გაუჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი, ისეთი საქმიანობის პერიოდში, რომლის გაგრძელებამაც შეიძლება დააზიანოს, გაანადგუროს ან ამის საფრთხე შეუქმნას მას, საქმიანობის მწარმოებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აღნიშნული

საქმიანობა და კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის ან აღმოჩენის ან ამის შესახებ საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისა და საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე წერილობით აცნობოს შესაბამის უწყებას არა უგვიანეს 7 დღისა;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მე-14 და მე-15 ანმები, კვეთს კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს. გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მიწის ნაკვეთების მესაკუთრებთან შეთანხმების შესახებ, მათთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მითითებით;

**გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით)**

#### **დასკვნითი ნაწილი:**

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, 110 კვ საჰაერო ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის („ბახვი 1-2“-ის) გაყვანას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.